

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9

2019 წლის 28 ივნისი

ქ. ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის №35 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის №35 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 06/12/2018, 010250020.35.144.016350) და დადგენილების დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1- ით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქარელის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე არდემანაშვილი

დანართი №1

თავი I

ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წელი ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12919.95	15446,1	6041.3	9404.8	19425.1	8178.1	11247.0
გადასახადები	1474.66	1543.4	0.0	1543.4	10032.0	0.0	10032.0
გრანტები	10289.21	13099.9	6041.3	7058.6	8391.1	8178.1	213.0
სხვა შემოსავლები	1156.08	802.8	0.0	802.8	1002	0.0	1002
ხარჯები	6450.97	6981.2	0.0	6981.2	9035.4	880.5	8154.9
შრომის ანაზღაურება	1527.92	1818.5	0.0	1818.5	1918.6	0.0	1918.6
საქონელი და მომსახურება	518.78	449.3	0.0	449.3	704.2	120.5	583.7
პროცენტი	0	46.7	0,0	46.7	47,1	0.0	47,1



სუბსიდიები	3425.55	3743.2	0.0	3743.2	4567.8	0.0	4567.8
სოციალური უზრუნველყოფა	748.92	710.5	0.0	710.5	697.2	0.0	697.2
სხვა ხარჯები	229.81	213.0	0.0	213.0	1100.5	760.0	340.5
საოპერაციო სალდო	6468.98	8464.9	6041.3	2423.6	10389.7	7297.7	3092.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6767.92	7359.4	5754.4	1605.0	11741.8	7584.6	4157.2
ზრდა	6913.17	7428.6	5754.4	1674.2	11832.6	7584.6	4248.8
კლება	145.25	69.3	0.0	69.3	90.8	0.0	90.8
მთლიანი სალდო	-298.94	1105.6	286.9	818.7	-1352.1	-286.9	-1065.2
ფინანსური აქტივების ცვლილება	-326.67	1105.6	286.9	818.7	-1352.1	-286.9	-1065.2
ზრდა	0.0	1105.6	286.9	818.7	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	1105.6	286.9	818.7	0.0	0.0	0.0
კლება	326.67	0	0	0	1352.1	286.9	1065.2
ვალუტა და დეპოზიტები	326.67	0	0	0	1352.1	286.9	1065.2
ვალდებულების ცვლილება	-27.73	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წ. ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	13065.2	15515.39	6041.31	9474.08	19515.9	8178.1	11337.8
შემოსავლები	12919.9	15446.11	6041.31	9404.80	19425.1	8178.12	11247.0
არაფინანსური აქტივების კლება	145.3	69.27	0.0	69.27	90.8	0.0	90.8
ფინანსური აქტივების ცვლილება (ნაშთის გამოკლებით)	326.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



გადასახდელები	13391.9	14409.8	5754.38	8655.42	20868	8465.0	12403
ხარჯები	6451.0	6981.2	0.0	6981.2	9035.4	880.5	8154.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	6913.2	7428.6	5754.4	1674.2	11832.6	7584.6	4248.8
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	27.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	-326.67	1105.6	286.9	818.7	-1352.1	-286.9	-1065.2

მუხლი 3. ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **19425.1** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12919.95	15446.1	6041.3	9404.8	19425.1	8178.1	11 247.0
გადასახადები	1474.66	1543.35	0.0	1543.35	10 032.0	0.0	10 032.0
გრანტები	10289.21	13099.9	6041.3	7058.6	8391.1	8178.1	213.0
სხვა შემოსავლები	1156.08	802.8	0.0	802.8	1 002.0	0.0	1002.0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები **10 032.0** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1474.7	1543,35	0.0	1543,35	10032.0	0.0	10 032.0
საშემოსავლო გადასახადი	424.6	383.1	0.0	383.1	0	0	0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	0	0	0	0	9 032.0	0.0	9 032.0
ქონების გადასახადი	1050.0	1160.25	0.0	1160.25	1 000.0	0.0	1 000.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	512.0	612.61	0.0	612.61	550.0	0.0	550.0



უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა ნიჭისა)	0.0	58.64	0.0	58.64	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6.0	5.95	0.0	5.95	0.0	0.0	0.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0.0	0.27	0.0	0.27	0.0	0.0	0.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	6.0	5.69	0.0	5.69	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	251.3	252.0	0.0	252.0	310	0.0	310
ფიზიკური პირებიდან	211.3	220.19	0.0	220.19	310	0.0	310
იურიდიული პირებიდან	40.0	31.81	0.0	31.81	0.0	0.0	0.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	202.4	231.05	0.0	231.05	140.0	0.0	140.0
ფიზიკური პირებიდან	33.5	33.0	0.0	33.0	140	0.0	140
იურიდიული პირებიდან	168.9	198.04	0.0	198.04	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 8391.1 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	10289.2	13099.9	6041.3	7058.6	8391.1	8178.1	213
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10289.2	13099.9	6041.3	7058.6	8391.12	8178.12	213
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5471.2	7058.6	0.0	7058.6	1093.46	880.46	213
გათანაბრებითი ტრანსფერი	5268.2	6845.6	0.0	6845.6	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	203.0	213.0	0.0	213.0	213	0.0	213.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	0.0	0.0	0.0	880.46	880.46	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი							



ტრანსფერები	4818.0	6041.3	6041.3	0.0	7297.66	7297.66	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა.	4331.1	5726.45	5726.45	0.0	6357.66	6357.66	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0	0.0	0.0	940.0	940.0	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	419.5	314.9	314.9	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა	67.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1002.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1156.1	802.85	1002.0
შემოსავლები საკუთრებიდან	344.8	328.65	370
პროცენტები	81.6	114.09	70
რენტა	263.2	214.56	300.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	216.2	162.49	250.0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	47.0	52.07	50.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	230.9	194.36	221.4
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	210.2	178.92	206.4
სანებართვო მოსაკრებელი	59.6	25.34	35.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	150.5	153.58	171.4
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	20.8	15.44	15.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	20.8	15.44	15.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	436.0	196.28	400.6
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	144.4	83.56	10.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9035.4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
--	-----------------	-----------------



დასახელება	2017 წლის ფაქტი	მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6450.97	6981.2	0.0	6981.2	9035.4	880.46	8154.9
შრომის ანაზღაურება	1527.92	1818.5	0.0	1818.5	1918.6	0.0	1918.6
საქონელი და მომსახურება	518.78	449.3	0.0	449.3	704.2	120.46	583.7
პროცენტი		46.7		46.7	47.1		47.1
სუბსიდიები	3425.55	3743.2	0.0	3743.2	4567.8	0.0	4567.8
სოციალური უზრუნველყოფა	748.92	710.5	0.0	710.5	697.2	0.0	697.2
სხვა ხარჯები	229.81	212.9	0.0	212.9	1100.5	760.0	340.5

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 11 741.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 11 832.6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წ. ფაქტი	2018 წ. ფაქტი	2019 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	98.5	31.04	42,6
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	12.4	7.90	6,3
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	6637.9	6952.45	10568.7
04 00	განათლება	85.5	172.18	1008.2
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	78.9	259.13	206.7
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0	5.9	0.0
სულ ჯამი		3025.74	7428.63	11832.6

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 90.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	145.3	69.3	90.8



ძირითადი აქტივები	131.4	60.9	90.8
არაწარმოებული აქტივები	13.8	8.4	0.0
მიწა	13.8	8.4	0.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2017 ფაქტი	2018 ფაქტი	2019 გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2124.1	2314.4	2555.5
7011	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2124.1	2267.7	2498.4
70111	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2124.1	2267.7	2452.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	45.5
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	46.7	57.1
702	თავდაცვა	110.6	111.0	121.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	6497.3	6623.7	9625.8
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	4.2	98.7	1310.5
70421	სოფლის მეურნეობა	4.2	98.7	1310.5
7045	ტრანსპორტი	6493.1	6525.1	8315.3
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	6493.1	6525.1	8315.3
705	გარემოს დაცვა	612.5	957.9	1084.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	612.5	957.9	1084.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	510.7	568.2	1315.7
7061	ბინათმშენებლობა	0.0	0.0	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	5.6	94.9	323.0
7063	წყალმომარაგება	51.9	36.2	375.1
7064	გარე განათება	354.9	335.6	402.4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	98.3	101.5	215.2
707	ჯანმრთელობის დაცვა	80.0	89.9	90.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	80.0	89.9	90.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	997.6	1244.0	1519



7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	460.7	624.8	676.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	468.9	516.2	650
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	68.0	103.0	193
709	განათლება	1605.3	1713.0	3774.8
7091	სკოლამდელი აღზრდა	1585.5	1693.2	2859
7092	ზოგადი განათლება	19.8	19.8	23.4
70923	საშუალო ზოგადი განათლება	19.8	19.8	23.4
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	0.0	0.0	892.4
710	სოციალური დაცვა	826.0	787.6	782.2
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	60.0	60.0	60.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	618.5	668.7	650.2
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	147.5	58.9	72.0
	სულ	13364.1	14409.8	20868

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1352.1 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1352.1 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1352.1 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0.0 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 60.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა

წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით ბიუჯეტში გათვალისწინებულია 10 ათასი ლარი.

მუხლი 15. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღებია



მიზნობრივი ტრანსფერი 213,0 ათასი ლარი, ხოლო ხარჯები გაწერილია 213,0 ათას ლარზე, კერძოდ:

- ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 90,0 ათასი ლარი;
- ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 121 ათასი ლარი;
- გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 2 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 16. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

2019 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება და მოასფალტდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, რომელიც ემსახურება ქარელის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და აკავშირებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან, განათლებისა და ჯანდაცვის ობიექტებთან, სამეურნეო ბაზართან.

გზების პრობლემა აწუხებს როგორც სატრანსპორტო საშუალებების მეპატრონეებს, ისე ქვეითად მოსიარულეებს; სავალ ნაწილზე გაჩენილია ორმოები, მოსახლეობა ითხოვს გზების რეაბილიტაციას. განსაკუთრების ჭირს გადაადგილება ზამთრის პერიოდში. ადგილობრივი ბიუჯეტით, რეგიონული პროექტების და მთის ფონდების დაფინანსებით იგეგმება სოფლების ქობესაანთ-უბანი-ვედრება სანებლის გზის, ქარელის ქუჩების დარჩენილი ნაწილის, ქარელი-ლეთეთის გზის, ზემო შაქმაქეთის გზის, აბისი -აბისისთავის გზის, ფცა-ლოღეთის გზის, ახალსოფლის დევნილთა დასახლებაში გზის, სოფელ იმერხევის გზის მოასფალტების სამუშაოები 20 კმ მანძილამდე.

აღნიშნულ პროექტებზე იგეგმება რეგიონული პროექტების და მთის ფონდებიდან დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსება 5%-ის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

პროექტების მიზანია ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა.



აღნიშნული პროექტების განხორციელების შემდეგ მოსახლეობას გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა. გაუადვილდება გადაადგილება, მოსახლეობა მარტივად და სწრაფად შეძლებს სხვადასხვა სერვისების მიღებას. ამ გზით ბავშვები უფრო მარტივად ივლიან სკოლაში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში. აღნიშნული პროექტი მდგრადია, რადგანაც რეაბილიტაციის შემდგომ გზების მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს ქარელის მუნიციპალიტეტი.

2018 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №2577 განკარგულებით ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4 300 887 ლარი ქობესაანთ უბანი-ვედრება-სანებლის გზის, ქარელის ქუჩების, ქარელი-ლეთეთის, ზემო შაქშაქეთის, აბისი-აბისისთავის და ახალსოფლის დევნილთა დასახლებაში გზების ასფალტირების სამუშაოების დასაფინანსებლად.

მთავრობის განკარგულებით №817 (12,04,2019) და №1125 (17,05,2019) ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2542230 ლარი ფცა-ლოღეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისთვის.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები; უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავების პროგრამის განხორციელება, მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება სასმელი წყლის სისტემებს.

ბ.ა) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია 18 ადმინისტრაციული ერთეულის 1 ქალაქსა და 45 სოფელში: ქარელი, დ. აგარი, სოფლების: ქვენატკოცა, რუისი, ურბნისი, ბებნისი, კეხიჯვრი, ფცა, ქვემო ხვედურეთი, ზემო ხვედურეთი, მოხისი, ბრეთი, დირბი, ბრეთის მეურნეობა, ავლევი, ცერონისი, კნოლევი, აბისი, აბისისთავი, ბერძენაული, სასირეთი, ლოღეთი, ქვემო შაქშაქეთი, კოდავარდისუბანი, ზემო შაქშაქეთი, ბრეძა, ატოცი, ჭვრინისი, ახალსოფელი, საციხური, კოდა, აბანო, სალოლაშენი, არადეთი, წვერი, თათანაანთ უბანი, ვედრება, სანებელი, სამწევრისი, ტახტიძირი, დვანი, ძლევიჯვარი, ჭანდრები, ხეობა, თამარაშენი, დოღლაური – ცენტრალური ქუჩების განათება და ლამპიონების და სისტემების მომსახურების გაწევა.

ბ.ბ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 1 ქალაქსა და 49 სოფელში ნარჩენების მართვის ღონისძიებების დაფინანსება. ესენია: ქარელის, სოფლების: აგარა, ქვენატკოცა, ბებნისი, ლეთეთი, ქვემო ხვედურეთი, ზემო ხვედურეთი, კეხიჯვარი, ქობესაანთ უბანი, თათანაანთ უბანი, სამწევრისი, ვედრება, სანებელი, რუისი, ურბნისი, ბრეთი, სალოლაშენი, არადეთი, წვერი, სასირეთი, ბრეთის მეურნეობა, ძლევიჯვარი, ყინწვისი, ზღუდერი, მოხისი, ახალსოფელი, დირბი, დვანი, ტახტიძირი, ფცა, თამარაშენი, ქვემო შაქშაქეთი, აბისი, აბისისთავი, ბერძენაული, ავლევი, ცერონისი, კნოლევი, ბრეძა, ატოცი, გულიკაანთ უბანი, დვლევი, ქვენაფლავი, ჭანდრები, ხეობა, სუქანაანთ უბანი, ორთუბანი, ელბაქიანთ კარი, კოდავარდისუბანი, ზემო შაქშაქეთი – მოსახლეობიდან, ასევე ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან, აგრეთვე სოფ. ახალსოფლის და სოფ. მოხისის დევნილთა ჩასახლებებიდან; ქარელის და აგარის ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავების, სანიაღვრეების გაწმენდის და ნარჩენების გატანის ღონისძიებები განხორციელდება პროგრამის ფარგლებში; პერიოდულად ჩატარდება ქარელსა და აგარაში სანიაღვრე სისტემების გაწმენდის სამუშაოები;

ბ.გ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებობს სასმელი წყლის პრობლემები; მოძველებულია და



მწყობრიდანაა გამოსული სასმელი წყლის შემკრები აუზები და შიდა ქსელები და სათავე ნაგებობები. ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წელს იგეგმება სოფელ დირბში წყალმომარაგების სისტემის ნაწილის რეაბილიტაცია, სოფელ ფცაში სასმელი წყლის სისტემის ნაწილის მოწყობა და სოფელ კეხიჯვარში სასმელი წყლის ჭაბურღილის და ქსელის მოწყობა.

ბ.დ) საკადასტრო რუკების მომზადება (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების და მიწების ელექტრონული ნახაზებისა და საკადასტრო გეგმების მომზადება.

ბ.ე) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქარელის, სოფლების ავლებში, ატოცში ჭვრინისში, ბრეთის მეურნეობაში და სანებელში სანიაღვრე არხების მოწყობა

ბ.ვ) ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 08)

ქარელის მუნიციპალიტეტში (ქარელი, აგარა, ბებნისი, ბრეთის მეურნეობა) არსებული მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი მძიმე მდგომარეობაშია; სარეაბილიტაციოა, სადარბაზოები და სარდაფები, გასამაგრებელია საძირკვლები; აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციის სამუშაოები ამხანაგობებთან თანადაფინანსებით ან მის გარეშე;

გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

მოსახლეობის დასვენების და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით 2018 წელს იგეგმება ქარელის მუნიციპალიტეტში გამწვანების სამუშაოები, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ხეების დარგვა და შადრევნის მოვლა-შენახვა

გ.ა) გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 01)

გამწვანების და ხეების მოვლის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა. ხოლო ხეების მოვლა (გადაბელვა, მოჭრა) განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებულ ხეებზე; ამორტიზებული ხეები საფრთხეს უქმნის როგორც მოსახლეობას და ასევე ინფრასტრუქტურულ ობიექტებს. აღნიშნული ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს ქ. ქარელში ნინოშვილის ქუჩაზე არსებული სკვერის და შადრევნის მოვლა-შენახვას და მუნიციპალიტეტში არსებული წყალმომარაგების სისტემების მოვლა პატრონობას.

გ.ბ) ქუჩების, შენობების, ეზოებისა და სკვერების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 02)

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ქ. ქარელში სკვერის მოწყობა რეაბილიტაცია

გ.გ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №208 განკარგულებით, ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 940 000 ლარი ქარელის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფელში არსებული სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად. აღნიშნული პროექტები მოიცავს სასმელი წყლის, შიდა გზების, გარე განათების, სარწყავი არხების, მოსაცდელების და სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციას.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა ქარელის მუნიციპალიტეტისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ქარელის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით სკოლამდელ განათლებას იღებს 1500-მდე აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მოქმედი ყველა საბავშვო ბაღის მიმდინარე ხარჯები და



დაგეგმილია საბავშვო ბაღების ნაწილის სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, კვების და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

ა) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით იგეგმება სოფელ დირბის ბაღის სრული რეაბილიტაცია (გარდამავალი პროექტის ფარგლებში). აღნიშნულ ბაღის ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 150 ბავშვამდე;

ბ) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

ქარელის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასაქმებაში და მიცეს საშუალება დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს რაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სტაბილური დასაქმებისათვის. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქარგვის, ხალიჩების ქსოვის, თექაზე მუშაობის, კულინარიის და სხვადასხვა მუსიკალურ ინტრუმენტებზე დაკვრის, მხატვრული კითხვის შემსწავლელი კურსები. ხელფასის სახით ანაზღაურდება წრის ხელმძღვანელები (5 მასწავლებელი, 85 მოსწავლე) მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს ექნება საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული კურსები, რაც აამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დასაქმებას.

გ) საჯარო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 04)

საქართველოს მთავრობის №207 განკარგულებით (08.02.2019წ) („ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“) ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 760 000 ლარი ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით გადასაყვანად გამოყოფილი იქნა 120 463,15 ლარი.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლენა.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. ახალგაზრდობში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით დაგეგმილია სპორტის სახეობათა პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში, მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობის მიღება რეგიონალურ, სახელობით, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებზე, მოწინავე სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების და ფიზიკური მოზადებისათვის სასწავლო-საწრთვინო და გამაჯანსაღებელი შეკრებების მოწყობა. 2019 წლის განმავლობაში 1000 -მდე სპორტსმენი გაივლის სპორტულ მომზადებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ძიუდოს, სამბოს, ქართული ჭიდაობის სექციები, სადაც 600-მდე ბავშვებთან მუშაობს 19 მწვრთნელი. ფუნქციონირებს ასევე ფეხბურთის სექცია, სადაც 300 ბავშვთან მუშაობს 5 მწვრთნელი. განსაკუთრებული წამატებით გამოირჩევა ჭადრაკის სექცია, სადაც გაერთიანებულია 100 -მდე ბავშვი და 2 მწვრთნელი. ფუნქციონირებს ასევე კრივის, კიკბოქსინგის და ხელბურთის სექცია, სადაც გაერთიანებულია 150-მდე ბავშვი და 2 მწვრთნელი.



ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის კულტურული და გასართობი ღონისძიებების მოწყობა. სხვადასხვა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში არსებული შემოქმედებითი კოლექტივების გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში დაგეგმილია შემდეგი სახის კულტურული ღონისძიების მოწყობა:

- დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- პოეზიის დღე (ადგილობრივი პოეტების წარმოჩენა და დაჯილდოება);
- 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- კლასიკური მუსიკის ფესტივალი;
- 9 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება-შეხვედრა ომის ვეტერანებთან;
- 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ილიას შემოქმედებითი საღამო;
- ეკოტური და ექსკურსია ძამას ხეობაში ეკოტურის მონაწილეთათვის;
- სოხუმში ჩვენი ტკივილია;
- ექსკურსია კონკურსებში გამარჯვებული ბავშვებისათვის;
- ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვთა და უფროსთა შორის ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?;
- ვიქტორინა (ინტელექტუალური შეჯიბრი ქარელის მუნიციპალიტეტის ისტორიის ბშესახებ);
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (ალბომის შექმნა შიდა ტურისტულ პოტენციალზე);
- ომის ვეტერანების დღე;
- საახალწლო ღონისძიებები;
- ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა მონაწილეობა მონაწილეობა რეგიონალურ და რესპუბლიკურ კულტურულ ღონისძიებებში;
- სხვა ინიციატივები.

ბ.ბ) სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს ქარელის და აგარის სახელოვნებო სკოლა და რუისის მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 500 – მდე ბავშვი. სასწავლო წლის განმავლობაში ერთ მოსწავლეზე გადასახადი შეადგენს 100 ლარს, რაც არ არის საკმარისი მოსწავლეთა სწავლებისათვის და სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სხვადასხვა კონკურსებისა და ფესტივალების ჩატარების. აღნიშნულ სკოლებში ფუნქციონირებს ფორტეპიანოს და ვიოლინოს განყოფილებები, ასევე სიმღერის გუნდები „ქოზიფა“, „აგარა“, „მროვი“.

